საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №1

ქ. თბილისი 20 იანვარი, 2018 წ.

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა
სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობის წესში“
ცვლილებების დამტკიცების თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 66-ე მუხლის, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-6, მე-7 და 26^1 მუხლების შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობის წესში“ ცვლილებები თანდართული სახით. (დანართი №1).

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 01 იანვრიდან.

ნინო გვენეტაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

დანართი №1

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობის წესში ცვლილებების შესახებ“

I. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობის წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობის წესის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. აპარატის შემადგენლობაში შედიან მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტები, მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი და მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი.“

2. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობის წესის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტები:“

3. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობის წესის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის არყოფნაში აწარმოებს სადისციპლინო კოლეგიის სხდომის ოქმს;“

4. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობის წესის მე-11 მუხლის მე-6 პუნქტის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი:“

5. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობის წესის მე-11 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6^1 პუნქტი, კერძოდ:

„6^1. მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი:

ა) მოიძიებს და თარგმნის სადისციპლინო სამართალწარმოებასთან დაკავშირებით არსებულ საერთაშორისო გამოცდილებას;
ბ) განაზოგადებს სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებებს;
გ) აანალიზებს სხვადასხვა შინაარსის მასალებს;
დ) ასრულებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს;
ე) ასრულებს სადისციპლინო კოლეგიის თავმჯდომარის სხვა დავალებებს.“

6. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობის წესის მე-9 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,ლ" ქვეპუნქტი, კერძოდ:

„ლ) მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტს ავალებს სადისციპლინო კოლეგიის აპარატის ადამიანური რესურსების მართვის განხორციელებას."

7. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობის წესს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-12 მუხლი, კერძოდ:

„მუხლი 12.

1. ,,საჯარო დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის ძირითადი ფუნქციებია:
ა) საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის აპარატისათვის საკადრო პოლიტიკისა და ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის შემუშავება;
ბ) აპარატის მოსამსახურეთა პირადი საქმეების შედგენა და წარმოება;
გ) აპარატის მოსამსახურეთა საკადრო აღრიცხვა და საინფორმაციო ბანკის მართვა;
დ) საკადრო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;
ე) აპარატის მოსამსახურეთა სამუშაოს ანალიზის საფუძველზე სამუშაოს შესრულების შეფასების კრიტერიუმების დადგენა, შედეგების დადგენა და დასკვნების მომზადება;
ვ) ორგანიზებას უწევს მოხელეთა შერჩევის პროცესს აპარატის ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად, კანონმდებლობით გათვალისწინებული კონკურსისა და ატესტაციის ორგანიზება;
ზ) შინაგანაწესის შემუშავება, თანამშრომელთა შრომის დისციპლინის კონტროლი, შემოწმების შედეგად მიღებული დასკვნის წარდგენა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის თავმჯდომარისათვის;
თ) საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის თავმჯდომარის ბრძანებების რეესტრის წარმოება."

8. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის აპარატის საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი:

№	თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეულის რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო
1.	მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	1300 ლარი
2.	მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1100 ლარი
3.	მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1	1000 ლარი

II. ეს ცვლილებები ამოქმედდეს 2018 წლის 01 იანვრიდან.